პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 61 (1075) | შაბათი, 21 მაისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოები მოიპოვეს თ. მანინამ და ბ. შახლინმა

კიევის ფიზკულტურის სასახლეში საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები რამდენიმე დღეს იბრძოდნენ სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად. შეჯიბრების ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ჯილდოს გათამაშება წელს პირველად მიმდინარეობდა მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით, ამასთან გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის თასის გათამაშებაშიც.

როგორც ცნობილია, გასულ წელს ეს საპატიო ჯილდოები მოიპოვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა ლარისა ლატინინამ და ბორის შახლინმა. ამჯერად ბრძოლა ასე წარიმართა: პირველსავე იარაღზე (ხტომები) ლატინინამ მაღალი შეფასება (9,8 ბალი) მიიღო და სათავეში ჩაუდგა გათამაშებას, მაგრამ მის მეტოქეებს ფარხმალი არ დაუყრიათ. ლენინგრადელი თ. მანინა, მოსკოველი ს. მურატოვა, უკრაინელები ჭ. ასტახოვა და გ. კონოვალოვა, ნ. სემინა და ახალგაზრდა ლ. ერიომინა, რომელიც ამას წინათ მოსკოვის ჩემპიონი გახდა, კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ლიდერს. ნაირსიმაღლის ორძელზე ლიდერმა სუსტად შეასრულა ჩამოხტომი და 9 ბალი მიიღო. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მას მე-12 ადგილზე გადაენაცვლებინა. დაწინაურდა ს. მურატოვა.

როდესაც სპორტსმენებს შესასრულებელი დარჩათ თავისუფალი ვარჯიში, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს საპატიო თასი უკვე ხელთ ჰქონდა ს. მურატოვას, მაგრამ მას უმუხთლა „ბედმა". ორძელზე მიიღო 7 ბალი და პირველობისათვის ბრძოლა ერიომინას, მანინასა და კონოვალოვას გადაულოცა. აქ ყველას აჯობა ლენინგრადელმა თ. მანინამ, რომელმაც დააგროვა 38,165 ბალი და მოიპოვა საპატიო ჯილდო. მეორე ადგილი წილად ხვდა ერიომინას, მესამე — კონოვალოვას.

ქალთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დაიწყო ვაჟთა გამოსვლები. როცა ტანმოვარჯიშეები სხვადასხვა იარაღზე ვარჯიშების შესასრულებლად განლაგდნენ, მსაჯთა მაგიდებთან ადგილები დაიკავეს სახელმოხვეჭილმა ტანმოვარჯიშეებმა ჩუკარინმა, მურატოვმა და იბადულაევმა. ასპარეზობაში ჩაებნენ ცნობილი სპორტსმენები შახლინი, ტიტოვი, შაგინიანი, აზარიანი, შარაბიძე და სხვ.

თითქმის ყველა იარაღზე უნაკლოდ შესრულებული ვარჯიშით დაწინაურდა უკრაინელი ბ. შახლინი, შეჯიბრების ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. აზარიანმა, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა რგოლებზე ვარჯიში, საჭირო ბალი დაკარგა თავისუფალ ვარჯიშში, შაგინიანმა სუსტად შეასრულა ხტომები, ხოლო ტიტოვმა — ორძელზე ვარჯიში. ჩვენი ქვეყნის თასი დამსახურებულად მოიპოვა ბ. შახლინმა, რომელმაც 60 შესაძლებლიდან 58,1 ბალი დააგროვა. ამის შემდეგ გაიმართა შეჯიბრება ცალკეულ იარაღებზე. აქაც თავისი მაღალი ოსტატობა კვლავ დაამტკიცა ბ. შახლინმა, რომელმაც პირველობა მოიპოვა ტაიჭზე, ორძელზე, ღერძსა და ხტომებში.

საფესტივალო ქრონიკა

თბილისი

დამთავრდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ახალგაზრდობის ფესტივალი. რაიონის სპორტულ ბაზებზე გამარჯვებისათვის იბრძოდნენ უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, სამედიცინო, ზოოვეტერინარული, ფიზკულტურისა და უცხო ენათა ინსტიტუტების ფიზკულტურელები. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის წარმომადგენლებმა თავი აარიდეს სპორტულ თამაშებში მონაწილეობას.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა. ისინი უძლიერესები იყვნენ მძლეოსნობაშიც. კალათბურთელთა შეხვედრები დამთავრდა უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდების გამარჯვებით. ვაჟთა შორის ფრენბურთში უძლიერესი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო ქალთა შორის — ფიზკულტურის ინსტიტუტი. სროლაში კარგი მომზადება გამოავლინეს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მაგიდის ჩოგბურთელთა შეხვედრები მოიგო უნივერსიტეტის კოლექტივმა

საინტერესო გამოდგა ტანმოვარჯიშეთა პირადი პირველობა. აქ უძლიერესები იყვნენ ჯ. და რ. შარაბიძეები.

ვ. ხანდამიშვილი

გორი

ახალგაზრდობის ნამდვილი დღესასწაული იყო ქალაქ გორისა და გორის რაიონის პირველი ფესტივალი, რომლის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შეხვედრებს კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ტყვიით სროლასა და ველოსპორტში.

აქ გამარჯვებისათვის იბრძოდნენ როგორც ქალაქის, ისე რაიონის სპორტული კოლექტივები. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ყველა სახეობაში (გარდა ტყვიით სროლისა) გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურელებმა.

საინტერესო იყო შეჯიბრება საფესტივალო მძლეოსნურ ამანათრბენში ქალაქის ქუჩებში. ვაჟთა შორის ფინიშთან პირველები მივიდნენ პედინსტიტუტის მძლეოსნები. ქალთა შორის ყველა ეტაპზე უძლიერესები იყვნენ რუსული საშუალო სკოლის წარმომადგენლები, რომელთაც მოიპოვეს პირველი ადგილი.

ა. გელაშვილი

რუსთავი

რუსთავის ახალგაზრდების პირველი საქალაქო ფესტივალის საინტერესო ნაწილს წარმოადგენდა სპორტული შეხვედრები. ასობით მეტალურგი, მშენებელი, ქიმიკოსი, მეცემენტე და მოსწავლე ერთმანეთს ეცილებოდა ფესტივალის ჩემპიონობას. შეხვედრები ტარდებოდა სპორტის ცხრა სახეობაში.

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა მძლეოსანთა გამოსვლები. სადაც წარმატება მოიპოვეს ა. გვენცაძემ — 100 და 200 მეტრზე რბენაში, ი. კობაიძემ — ბადროსა და შუბის ტყორცნაში, გ. სტურუამ — სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში. ქალთა შორის ფესტივალის ჩემპიონები გახდნენ ვ. კალინინა, მ. ფეხლევანიანი და სხვები.

მაღალი მაჩვენებლებით დამთავრდა ძალოსანთა შეჯიბრება, რომლის 15 მონაწილიდან 8-მა შეასრულა მეორე თანრიგის ნორმატივი. „მეტალურგის" სპორტსმენებმა ექვს წონით კატეგორიაში დაიკავეს პირველი ადგილი. ფრენბურთსა და კალათბურთში წარმატებით გამოვიდა „ხიმიკის" ქალთა გუნდი. ამ საზოგადოების ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა ფრენბურთში. კალათბურთში პირველი იყო განათლების განყოფილების კოლექტივი.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრები სპორტის სხვა სახეობებშიც. ქართულ მოჭიდავეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-2 სახელოსნო სასწავლებლის გუნდის წევრის ვ. გოროზაშვილის წარმატება, რომელმაც საჯარიმო ქულის გარეშე დაიკავა პირველი ადგილი.

რ. მორჩილაძე

ცაგერი

ცაგერის რაიონის პირველი ფესტივალის სპორტული ნაწილი სამ დღეს გრძელდებოდა. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 500-მდე სპორტსმენმა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი და ქართული ჭიდაობა.

მძლეოსან ქალთა შორის ფესტივალის ჩემპიონები გახდნენ ნ. ჯანაძე, ლ. ტიტოვა, რ. გოლეთიანი, ლ. ხეცურიანი, მ. ყურაშვილი, ამანათრბენი 4×100 მოიგო ლაჯანურჰესის სკოლის გუნდმა. ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ რ. მურცხველაძე, ზ. ყურაშვილი, ბ. ახვლედიანი, ალპანის საშუალო სკოლის სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა ამანათრბენი.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის კალათბურთის მოედნებზე გამართულ შეჯიბრებაში უძლიერესი აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ქალთა და ლაილაშის საშუალო სკოლის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები.

ფრენბურთელ ქალთა შორის გაიმარჯვა ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივმა, ვაჟებში — ორბელელმა მოსწავლეებმა.

ქართულ ჭიდაობაში ფესტივალის ჩემპიონები გახდნენ ზ. ჭომეთიანი, თ. სალინაძე, ბ. კოპალიანი, დ. ყურაშვილი, ზ. ლომთაძე, ს. ბაიდაური, მ. ჩხეიძე.

ა. ჩიქოვანი

III საერთაშორისო სპორტული თამაშების პრიზები.

→

ფრენბურთში გამარჯვებული გუნდისათვის



←

ფეხბურთში გამარჯვებული გუნდისათვის.

→

თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში გამარჯვებული გუნდისათვის.

დიდი შეჯიბრება ვარშავაში

პოლონეთის მძლეოსანთა კავშირმა გადაწყვიტა 8-9 ივნისს ვარშავაში ჩაატაროს საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ღონისძიება მიეძღვნება ცნობილ პოლონელ სპორტსმენის ი. კოსუჩინსკის ხსოვნას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დახვრიტეს ჰიტლერელებმა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, ბელგიის, უნგრეთის, იტალიის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, გდრ-ს, ირლანდიის, ჩინეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და იუგოსლავიის გუნდები. მარტო პოლონეთიდან სტარტზე გამოვა 200 სპორტსმენი.

შეჯიბრების ორგანიზატორები ვარაუდობენ, აგრეთვე ისლანდიის, ფინეთისა და თურქეთის მძლეოსანთა მოწვევას.

ამ საინტერესო ღონისძიების სტარტზე გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონები ვ. კუცი (სსრკ) და დელანი (ირლანდია), პრიზიორები ხაასი (გფრ), რუზანისი (საბერძნეთი), ევროპის ჩემპიონები: კონსოლინი (იტალია), სკობლა (ჩეხოსლოვაკია) და სხვები.

კოსუჩინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მიმდინარე სეზონში უდიდესი იქნება ევროპაში.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

ჩეხოსლოვაკია

⊙ პრაღის, ოსტრავასა და გოტვალდოვის საჩოგბურთო მოედნებზე, წარმატებით გამოდიან საბჭოთა ჩოგბურთელები. წაუგებლად თამაშობს ნორჩი თბილისელი სპორტსმენი რიაზანოვა, ხოლო დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენები ცვალებადი წარმატებით გამოდიან. აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკიელი იავორსკის გამარჯვება საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ანდრეევზე (6:2, 6:2 და 6:3).

⊙ ბრატისლავაში გათამაშდა ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ბრატისლავის განთავისუფლების თასზე“. მასპინძლების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ლენინგრადის, პრაღის, ბუქარესტის, სოფიის ვაჟთა და მოსკოვის, პრაღის, ვარშავისა და სოფიის ქალთა გუნდები.

ტურნირში გამარჯვებულები გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომლებსაც შეხვედრების უკეთესი შეფარდებები ჰქონდათ. მეორე ადგილისათვის სპეციალური ჯილდოები მიიღეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ჩინეთი

⊙ სახალხო რესპუბლიკაში წარმატებით გამოვიდნენ ლატვიის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები. ვაჟთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ხოლო ქალებმა წააგეს მასპინძლებთან. შემდეგ ლატვიის ვაჟთა გუნდმა დაამარცხა სახალხო გამანთავისუფლებელი არმიის „პირველი აგვისტოს“ გუნდი, ხოლო ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

პოლონეთი

⊙ რიგის კალათბურთელებმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს პოლონეთში. ლატვიის დედაქალაქის ქალთა გუნდმა ორჯერ დაამარცხა პოლონეთის მეორე ნაკრები — 72:49 და 50:35. რიგელ ვაჟთა კოლექტივმა მოუგო კლუბ „ლეგიას“ — 75:63 და 67:46.

სპორტული ქრონიკა

ვეჯინის (გურჯაანის რაიონი) საჭიდაო არენაზე გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ვეჯინის, ჭანდრის, კოლაგის, ბაკურციხისა და კარდანახის სპორტსმენები.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს რ. ხარტონიშვილმა, ზ. სვიმონიშვილმა (ორივე ვეჯინიდან), კარდანახელებმა — ა. თათარსაბაშვილმა, მ. ლექბორაშვილმა და სხვებმა.

ი. ოდიშელიძე

• • •

ზუგდიდში დამთავრდა „პიშჩევიკის“ რაისაბჭოს პირველობა კალათბურთში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ჩაის I ფაბრიკის, ტექნოლოგიური ტექნიკუმის, სამტრესტის ღვინის ქარხნის, ჩაის საწნეხი ფაბრიკისა და მექანიკური სახელოსნოს ვაჟთა გუნდები.

ტექნოლოგიური ტექნიკუმის მოსწავლეებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და მოიპოვეს უძლიერესის სახელი. ღვინის ქარხნისა და ჩაის საწნეხი ფაბრიკის კალათბურთელები გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილზე.

ბ. ალშიბაია

• • •

გულრიფშში ჩატარებულ რაიონულ სპარტაკიადაში მონაწილეობდა 6 საშუალო, 9 რვაწლიანი სკოლებისა და ძირეული კოლექტივების ნაკრები გუნდები. მძლეოსნობასა და კალათბურთში პირველი ადგილები მოიპოვეს გულრიფშის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ისინი მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფრენბურთსა და ფეხბურთში.

ს. რურუა

ხელბურთი

გათამაშების მესამე ტური

18 მაისს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს ხელბურთელთა ჩემპიონატის მესამე ტური. პირველად მოედანზე გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და რუსთავის გუნდები.

მატჩი დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელთა გამარჯვებით — 15:5. მათ მოიპოვეს პირველი ადგილი თავიანთ ქვეჯგუფში და ფინალში თამაშის უფლება.

• • •

აფხაზეთისა და ფოთის გუნდებს ამ შეხვედრამდე თითო დამარცხება ჰქონდათ. ამიტომაც მაყურებელი თანასწორთა ბრძოლას მოელოდა. პროგნოზები გამართლდა — მატჩი სპორტულად საინტერესოდ ჩატარდა.

ბურთი თამაშში შეიყვანეს აფხაზეთის ხელბურთელებმა. მათ გაათამაშეს კომბინაცია და კვეკვესკირის ზუსტი ტყორცნით ანგარიშიც გახსნეს. ასეთმა ელვისებურმა დასაწყისმა როდი დააბნია ფოთელები. თითქმის იმავე წუთში გოგიჩაიშვილმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. შემდეგში აფხაზეთის წარმომადგენლებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს სამი ბურთი და პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით — 4:2.

თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა მატჩის მეორე ნახევარი. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. მატჩი დამთავრდა აფხაზეთის გუნდის გამარჯვებით — 6:4.

• • •

აჭარისა და ჩოხატაურის გუნდების შეხვედრისას ჩოხატაურელები ადგილების ხშირი შეცვლით ცდილობდნენ რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ მოედანზე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ისინი ხშირად ჯარიმდებოდნენ, არასათანადოდ ფლობენ ზუსტ გადაცემას, კარში ტყორცნას, აუტიდან ბურთის შემოგდებას.

აჭარელებმა ამ დღეს ბრძოლა ააგეს ცენტრალურ თავდამსხმელ თხილაიშვილზე, რომელიც კარგად ანაწილებდა ბურთებს გადამწყვეტი ტყორცნისათვის. თამაშის პირველი ნახევარი აჭარლებმა თავიანთ სასარგებლოდ — 8:1 დაამთავრეს.

მეორე ნახევარში თხილაიშვილმა, ტონიამ, კაკაბაძემ და ჩხეიძემ ანგარიში 12-მდე გაზარდეს. ჩოხატაურელებმა, რომლებიც აშკარად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს, უხეშობით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, რისთვისაც არაერთგზის გაფრთხილების შემდეგ მსაჯმა ერთ-ერთი თავდამსხმელი გააძევა მოედნიდან. გაძევებულს თვითნებურად გაჰყვა კობაძე, რომელმაც გამოიჩინა სულმოკლეობა და გუნდის ინტერესები არაფრად ჩააგდო. მატჩი დამთავრდა აჭარელთა გამარჯვებით — 14:3.

• • •

უდისციპლინობაში, გუნდის ინტერესების უგულებელყოფაში ჩოხატაურელებს არც ქუთაისელი ხელბურთელები ჩამორჩნენ, რომლებიც ამ დღეს დიდჯიხაიშელებს ეთამაშებოდნენ. მართალია, პირველ წუთზე ანგარიში ქუთაისელებმა გახსნეს, მაგრამ ჯიხაიშელებმა გააზრებული თამაში აჩვენეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური თავდამსხმელი ნიკურაძე, რომელიც ყველა იერიშის ორგანიზატორი იყო. ანგარიშის გახსნისთანავე ნ. ნიკურაძემ სწრაფად შეუტია მოწინააღმდეგის კარს, ბურთი დაუტოვა ჭეიშვილს, თვითონ კი მარჯვნიდან შეიჭრა, მიიღო გადაცემა და ანგარიში გაათანაბრა. ამგვარი კომბინაციებით I ნახევარში ნიკურაძემ მოწინააღმდეგის კარში კიდევ 5 ბურთი გაიტანა. როცა ანგარიში იყო 4:2 ჯიხაიშელთა სასარგებლოდ, ქუთაისელთა გუნდში თავი იჩინა არეულობამ. მეკარე რამიშვილის მოქმედებამ კი ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მცველებზე გაბრაზებულმა მიატოვა კარი და მოედნიდან გავიდა. თამაშის წესით მოედნიდან თვითნებურად გასული მოთამაშის შეცვლა არ შეიძლება, რის გამო მისი პოსტის დაკავება მარცხენა მცველმა გაგუამ იკისრა.

შექმნილი რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს ჯიხაიშელებმა და მოწინააღმდეგის კარში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. ქუთაისელებმა ძლიერ მოწინააღმდეგეს უხეშობა დაუპირისპირეს. მსაჯმა მოედნიდან გააძევა მარცხენა გარემარბი თვარაძე.

უნდა ვუსაყვედუროთ ამ მატჩის მსაჯს უ. გელიაშვილსაც, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია მონაწილე გუნდებისა და მსაჯების ფორმას. მოედნისა და კარის მსაჯებს ეცვათ ისეთივე ფორმა, როგორც ქუთაისელებს. ხოლო ერთ-ერთი მსაჯი ნომრიანი მაისურით იყო მოედანზე. გელიაშვილი უშვებდა პრინციპულ შეცდომებს კუთხურისა და საჯარიმო ტყორცნების განსაზღვრაშიც. შეხვედრა მოიგეს ჯიხაიშელებმა ანგარიშით 8:4.

გათამაშების მეოთხე ტური

ჩემპიონატის მეოთხე ტურიდან შეხვედრები გადატანილ იქნა „დინამოს“ სტადიონზე. კვირას აქ გაიმართა ორი მატჩი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის, რადგან მეორე ჯგუფის კოლექტივებმა უკვე დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები.

მოედანზე გამოვიდნენ ქუთაისისა და ჩოხატაურის კოლექტივები. ქუთაისელები ამ დღეს კარგად გამოიყურებოდნენ. მათ ზედიზედ აიძულეს მოწინააღმდეგე თამაში დაეწყო ცენტრიდან. როცა ანგარიში იყო 10:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ, ჩოხატაურელმა ხუციშვილმა შეძლო ერთი ბურთის გატანა, რითაც გუნდმა თავი დააღწია მშრალ ანგარიშს. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა — 11:1.

• • •

ამ დღეს ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა ბათუმისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა შეხვედრა. გამარჯვებული კოლექტივი გადიოდა ფინალში.

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო, მაგრამ შეხვედრის მე-16 წუთიდან ტემპმა საგრძნობლად იკლო. გუნდებმა შეცვალეს თამაშის ტაქტიკა და ზონალური დაცვიდან გადავიდნენ პრინციპზე — ერთი-ერთზე მე-19 წუთზე ტონია-თხილაიშვილ-ჩხეიძის კომბინაცია უკანასკნელმა გოლით დაამთავრა. მალე ბათუმელმა თხილაიშვილმა მაღალ კუთხეში გაიტანა მეორე ბურთი. 26-ე წუთზე თბილისელებმა მიიღეს 19-მეტრიანი საჯარიმოს უფლება. ხატისკაცმა, ბაგრატიონმა და კვირიამ კარგად გაათამაშეს ბურთი და ძლიერი ტყორცნით კვირიამ ერთი ბურთი გაქვითა.

მეორე ნახევარში ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. დასაწყისშივე ანგარიში გახდა 3:1 ბათუმელთა სასარგებლოდ, მაგრამ ხატისკაცმა ძნელი მდგომარეობიდან უძლიერესი ტყორცნით მეორე ბურთი მოათავსა აჭარელთა კარში.

სტუმრების ერთ-ერთი იერიშისას თბილისელმა მცველებმა დაუშვეს უხეში შეცდომა, უმეთვალყუროდ დატოვეს მარცხენა ნახევარმცველი შანიძე, რაც მეოთხე გოლად დაუჯდათ. დარჩენილ დროში სტუმრებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, რასაც არუთინოვმა და ხატისკაცმა თითო გოლით უპასუხეს. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა აჭარის კოლექტივის (6:5) გამარჯვებით. ფინალში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან ითამაშებს აჭარის კოლექტივი. მატჩი შედგება დღეს, „დინამოს“ სტადიონზე.

ფ. ლეონიძე,
ო. გელაშვილი.



ფეხბურთის მოედნებზე



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	9	6	2	1	16:6	14
„დინამო“ მ.	9	5	3	1	11:5	13
„დინამო“ თბ.	10	6	1	3	14:10	13
„სპარტაკი“ მ.	10	5	2	3	15:8	12
„ტორპედო“	9	5	1	3	16:9	11
ცსკ მო	9	5	1	3	17:13	11
„ლოკომოტივი“	9	4	2	3	12:11	10
„შახტიორი“	9	3	2	4	5:8	8
„ბურევესტნიკი“	10	1	5	4	7:10	7
„ზენიტი“	10	1	3	6	8:22	5
„კრ. სოვეტოვი“	9	1	3	5	3:10	5
„სპარტაკი“ მნ.	9	1	1	7	3:15	3

• • •

ლენინგრადი. 19 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 4:1.

• • •

მოსკოვი. 19 მაისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ლოკომოტივი“.

მატჩი მოიგო „დინამომ“ — 4:1.

კიევი. 19 მაისი. კიევის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო სტალინოს „შახტიორი“.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს კიეველებმა.

• • •

კუიბიშევი. 19 მაისი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ აქ შეხვდა კიშინიოვის „ბურევესტნიკს“.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ—0:0.

• • •

მოსკოვი. 20 მაისი. მორიგ მატჩში პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები „ტორპედო“ და ცსკ მო.

გაიმარჯვეს არმიელებმა — 5:3.

ვ. ელოშვილს გააქვს ბურთი

მინსკი. 19 მაისი. (ტელეფონით). ზედიზედ 6 წაგებული მატჩის შემდეგ მინსკის „სპარტაკმა“ კარგად ჩაატარა მატჩი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან — მოსკოვის „დინამოსთან“ (0:0). ამიტომ მინსკელები განსაკუთრებული მონდომებით გამოვიდნენ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინათ ეს წარმატება და ახალი ქულები მიემატებინათ თავიანთი მოკრძალებული აქტივისათვის.

თავის მხრივ 2 ქულა უაღრესად საჭირო იყო თბილისის დინამოსათვისაც, რომელიც ლიდერთა შორის იმყოფება. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის მეტად დაძაბული ბრძოლა, რომელიც ორივე ტაიმის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ გუნდების შეხვედრაში.

მატჩის წინ, როცა „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი დავალებას აძლევდა თავის გუნდს, სპეციალურად გაუსვა ხაზი იმას, რომ მოწინააღმდეგის მიერ კუთხური საჯარიმო ბურთის მარჯვენა მხრიდან მოწოდებისას საგანგებო ყურადღების ქვეშ ყოფილიყო აყვანილი „დინამოს“ მარჯვენა მცველი ელოშვილი, რომელიც ასეთ შემთხვევებში ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის როლში გამოდის ხოლმე.

სპარტაკელებმა ვერ შეძლეს მწვრთნელის ამ დავალების შესრულება. როცა მე-10 წუთზე მათ კართან დანიშნულ იქნა კუთხური საჯარიმო, ელოშვილი მიუახლოვდა ხაზს, მიიღო მისგან ბურთი პირითი ხაზის გაყოლებით, შეიჭრა საჯარიმო მოედანში და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი.

მინსკელებმა გადაწყვიტეს მაშინვე გამოესწორებინათ ეს მარცხი, გუნდი ყოველნაირად ცდილობდა მოეპოვებინა ინიციატივა და მიელო ხანგრძლივი შეტევა, მაგრამ თბილისელები თამაშობდნენ ყურადღებით, კომბინაციურად.

ანგარიში 1:0 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ ფარზე დიდი ხნის განმავლობაში ეწერა. 87-ე წუთზე მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე დაარღვიეს თამაშის წესი და დაჯარიმდნენ პენალტით, რომელიც ზუსტად გამოიყენა ხასაიამ.

თბილისის „დინამომ“ მოიგო მატჩი ანგარიშით 2:0.

კარგად ითამაშეს ამ დღეს თბილისის „დინამოს“ დუბლიორებმაც. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

ი. ბელოგოროდა

თბილისის არმიელები ირანში

ირანის არმიის მიწვევით თეირანს ჩავიდა საბჭოთა არმიის სპორტული დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლკოვნიკი ზ. პ. ფირსოვი. დელეგაციის შემადგენლობაშია თბილისის საოლქო სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდი.

მეჰხრაბადის აეროდრომზე საბჭოთა არმიის სპორტულ დელეგაციას შეხვდნენ ირანის არმიის გენერალური შტაბის წარმომადგენლები, თეირანში განლაგებული სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, ირანის შეიარაღებულ ძალთა სპორტსმენები.

საბჭოთა არმიის სპორტული დელეგაცია ირანში დაჰყოფს 31 მაისამდე. ამ დროის მანძილზე იგი გაეცნობა ირანის არმიის სპორტულ ორგანიზაციებს, ჩაატარებს რამდენიმე შეხვედრას ირანელ სპორტსმენებთან, გაეცნობა თეირანის ღირსშესანიშნაობებს, მოივლის ქალაქებს რამსარს, ჩალუსს, ბაბოლსეროს, ისპაჰანს, შირაზს. საბჭოთა ფეხბურთელებს მიიღებს პრინცი გოლამ რეზა ფეხლევი.

ლიდერობს ივდით გურფინკელი

X ტურში საერთო ყურადღებით რგებლობდა უკანასკნელ შეხვედ- ბში დაწინაურებული ხაჭაპურიძის რტია ჩემპიონატის ლიდერ გურფინ- ლთან. თბილისელი კომბინაციური რთულებების დიდი მოყვარულია, ტომ მასთან თამაში გამოცდილ ჭადრაკეთათვისაც კი გარკვეულ ძნელეს წარმოადგენს. ეს როსტო- ლმა ოსტატმაც იგრძნო, როდესაც ს მოუხდა ხაჭაპურიძის გაშმაგე- ლი მუქარების უვნებელყოფა.

ხაჭაპურიძემ გაბედულად გაა- თა გრძელი როქი და პაიკებით ძლიერად შეუტია შავების მეფეს. ეწირვით მოწინააღმდეგის საჭად- აკო არმიის „სარდალი" მძიმე ნსაცდელში ჩააგდო, მაგრამ კრი- ილო მომენტში მან ვერ მონახა რიშის სწორი გაგრძელება. მისი ცდომა უნდა ვეძებოთ მე-20 სვლა- ე, როდესაც მას პაიკის წინსვლის ვლად, ალბათ მხედრით უნდა ეთა- მა. გურფინკელმა ადვილად უკუაგ- ო თეთრების მუქარები და 32-ე ლაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება ოიპოვა.

არანაკლებად დამუხტული იყო რძოლა გოგიავა-კაკაბაძის პარტია- ი. თამაშის გათანაბრების შემდეგ აკაბაძე ტაქტიკური მუქარებით ვიწროებდა მოწინააღმდეგეს, ხოლო როდესაც გოგიავამ შეცდომით ცენ- ტრალური პაიკი აიყვანა, ეტლსა ა კუში ლაზიერი მოიგო. მიუხედა- ად ძალთა ასეთი შეფარდებისა გო- იავას შეექნა ყაიმის მიღწევის პრაქ- ტიკული შანსები, მაგრამ ეს პარტია, ისე, როგორც როოტარე-ჩაიკოვსკაიას, დაუმთავრებელი დარჩა.

ტოგონიძემ, რომელიც ენერგიულად იბრძვის ლიდერთა ჯგუფში მოხვედრისათვის, ენდშპილში დაამარცხა ივანოვა. ბუცხრიკიძე-ნაჭყებიას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. სტატნიკოვამ მოუგო ფანჭველაშვილს, ხოლო ლოლიშვილმა — ტომილინას. გაფრინდაშვილის ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა ბელოზეროვასთან არ შემდგარა.

მეორე დღის მოჭადრაკეები ამთავრებდნენ გადადებულ პარტიებს. თამაშის განუახლებლად ტოგონიძე და სტატნიკოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. გოგიავამ ვერ გამოიყენა თავისი შანსები და წააგო კაკაბაძესთან. როოტარემ უკეთეს პოზიციაში ჩაიკოვსკაიას ფიგურა შეწირა, მაგრამ შემდეგ შეცდომით მოინდომა ეტლის მოგება. ჩაიკოვსკაიამ უკუაგდო მუქარები და ზედმეტი ფიგურით მე-60 სვლაზე ესტონელ ოსტატს მეორე დამარცხება მიაყენა. ჩინებული თამაშით სტატნიკოვამ მოუგო ბელოზეროვას. ფანქველაშვილი 15 სვლაში დამარცხდა ბუცხრიკიძესთან.

X ტურის შემდეგ ი. გურფინკელს 9,5 ქულა აქვს, ე. კაკაბაძეს — 7,5 ქულა, ნ. გაფრინდაშვილს — 6,5 ერთი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია, ლ. ხაჭაპურიძესა და ა. ჩაიკოვსკაიას 6,5 ქულა თვითეულს.

თ. გიორგაძე

★

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

★

მოგვყავს ჩემპიონატში გათამაშებული რამდენიმე საინტერესო პარტია

№ 1. გ. ბუცხრიკიძე— ხ. როოტარე

ოთხი მხედრის დებიუტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. კb5 კb4 5. 0—0 0—0 6. d3 ჯ:c3 7. bc d5 8. ჯ:c6 bc 9. ed ლ:d5 10. c4 ლd6 11. ლe1 ეe8 12. ლa5 კg4 13. კa3 ლe6 14. მd2 ლd7 15. ეfe1 e4 16. მ:e4 მ:e4 17. de ლd4 18. ლ:c7 ლ:c4 19. ლf4 კh5 20. ლg5 კg6 21. ლc5 ე:e4 22. ე:e4 ლ:e4 23. c3 ეe8 24. h3 a6 25. კb4 h6 26. c4 ეe5 27. ლf8+ მფh7 28. კc3 f6 29. ჯ:e5 ლ:e5 30 ეd1 ლe8 31. ლ:e8 ჯe8 32. c5 მფg6 33. ეb1 კf7 34. a4 მფf5 35. ეb6 a5 36. ე:c6 კb3 37. ეa6 ჯa4 38. ე:a5 კc6 39. ეa6 კd5 40. c6 მფe6 41. c7 მფd7 42. ეd6+ როოტარე დანებდა.

• • •

№ 2. ლ. ხაჭაპურიძე— ძ. გოგიავა

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. კg5 კe7 7. ჯf6 მ:f6 8. მ:f6+gf 9. ლd2 ლd5 10. კd3 კd7 11. c4 ლh5 12. 0—0—0 კf8 13. მფb1 კh6 14. ლb4 კc6 15. d5 a5 16. ლc3 კa4 17. ეde1 კg7 18. de 0—0 19. ef+ ლ:f7 20. c5 კc6 21. ლc2 h6 22. კg6 ლd7 23. კf5 ლd8 24. ეd1 ლb8 25. მd4 ეd8 26. მe6 ე:d1+ 27. ე:d1 კe8 28. ეd3 კf7 29. ეd8+ ლ:d8 30. მ:d8 ე:d8 31. ლe4 ეe8 32. ლ:b7 ეe1+ 33. მფc2 ჯa2 34. ლ:c7 კb1+ 35. მფd2 ეe7 36. ლg3+ ეg7 37. ლb3+ გოგიავა დანებდა.

• • •

№ 3. ე. კაკაბაძე— ნ. გაფრინდაშვილი

ოთხი მხედრის დებიუტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. d4 ed 5. მ:d4 კb4 6. მ:c6 bc 7. კd3 d5 8. ed ლe7+ 9. ლe2+ ლ:e2 10. მფ:e2 cd 11. მb5 კa5 12. კf4 მფd7 13. ეhd1 ეe8 14. მფf1 კb6 15. c4 a6 16. c5 ab 17. cb c6 18. კf5+ ეe6 19. ჯ:e6 fe 20. a4 ba 21. b4 მe4 22. ეa3 მd6 23. ჯ:d6 მფ:d6 24. მფe1 e5 25. ეda1 ეa6 26. b7 ჯ:b7 27. ე:a4 ეb6 28. მფd2 ეb5 29. ე1a3 d4 30. ეg3 g6 31. ეh3 c5 32. bc+ მფ:c5 33. ე:h7 ჯg2 34. ეc7+ მფd5 35. ეa2 კe4 36. ეca7 კf5 37. ე7a5 ე:a5 38. ე:a5+ მფe4 39. ეa3 მფf4 40. ეg3 e4 41. მფe2 ყაიმი.

• • •

№ 4. ნ. გაფრინდაშვილი — ა. ჩაიკოვსკაია

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 c5 5. a3 cd 6. ab dc 7. bc ლc7 8. f4 ლc3+ 9. კd2 ლc7 10. მf3 მe7 11. კd3 კd7 12. ლe2 ლb6 13. c3 a5 14. b5 a4 15. მd4 მf5 16. ჯ:f5 ef 17. 0—0 0—0 18. ეfb1 ეc8 19. ეa3 ეc4 20. კe3 ლd8 21. ლc2 კe6 22. ეb4 ე:b4 23. cb მd7 24. ე:a4 ეc8 25. ლa2 მb6 26. ეa7 მc4 27. კf2 მ:e5 28. g3 მd3 29. ე:b7 მ:b4 30. ლa7 ლe8 31. ეe7 ლf8 32. მ:e6 fe 33. კd4 ჩაიკოვსკაია დანებდა.

ოსტატობას დააკლდა ორი ქულა

თბილისში, „მონკავშირის" სტენდზე დამთავრდა ქალაქის მონადირეთა კავშირის პირადი პირველობა სასტენდო სროლაში. მონაწილეთა შორის შვიდი სპორტის ოსტატი იყო.

პირველ დღეს ადგილიდან 50 სამიზნეზე სროლაში საუკეთესო შედეგები მოიპოვეს ზ. მაჩხანელმა, ი. საგანელიძემ, შ. ჩახნაშვილმა, ვ. ჯაბახიძემ, ა. ხახანაშვილმა და დ. ცაგარეიშვილმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ. საბოლოოდ ადგილები მათ შორის ასე განაწილდა: 1 ზ. მაჩხანელი — (97 დაზიანებული სამიზნე 100-დან), II. ი. საგანელიძე. — (94 სამიზნე) 91-91 სამიზნე დააზიანეს შ. ჩახნაშვილმა და ვ. ჯაბახიძემ. დამატებით სროლაში გაიმარჯვა ვ. ჯაბახიძემ, რომელსაც მიეკუთვნა მესამე ადგილი.

ამ დღეს ქალები პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ადგილიდან სროლაში. ე. მელიქიშვილმა დააზიანა 84 სამიზნე (100 შესაძლებლიდან) და პირველი ადგილი დაიკავა. ამ სახეობაში მას ორი ქულა დააკლდა სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისათვის.

შეჯიბრების მეორე დღეს მოეწყო სროლა მრგვალ სტენდზე. პირველობის ლიდერს ზ. მაჩხანელს „ბედმა" უმტყუნა და პირველი სერიის 25 სამიზნედან მხოლოდ 19 დაზიანება შეძლო. მძაფრ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ვ. ჯაბახიძე (87 დაზიანებული სამიზნე), მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს შ. ჩახნაშვილმა და მ. კუროჩკინმა.

ქალთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი კვლავ ე. მელიქიშვილი აღმოჩნდა, მეორე ადგილზე გამოვიდა ს. ციკიშვილი.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს მოეწყო სროლა წყვილ სამიზნეებზე. ამ სახეობაში ზ. მაჩხანელმა და ი. საგანელიძემ დააზიანეს 36-36 წყვილი სამიზნე. გამარჯვებულის გამოსავლინებლად პირველობის პრეტენდენტებს მიეცათ ათი წყვილი სამიზნე. ი. საგანელიძემ სძლია გამოცდილ მოწინააღმდეგეს და დაიკავა პირველი ადგილი.

სროლის სამივე სახის კომპლექსში თბილისის „მონკავშირის" აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ვ. ჯაბახიძე; ი. საგანელიძე და შ. ჩახნაშვილი მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ.

ჯ. მოწონელიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სპარტაკიადა გრძელდება

სოხუმში მიმდინარეობს საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა, სროლა, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი და ჩოგბურთი.

უკვე დამთავრდა შეხვედრები სროლაში. გამარჯვებული გამოვიდა მე-8 საშუალო სკოლის კოლექტივი. პირად ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ II საშუალო სკოლის მოსწავლეები ი. გიგაური და რ. გადლია. კალათბურთელთა შეხვედრები დამთავრდა II სკოლის გოგონათა და X სკოლის ჭაბუკთა გამარჯვებით.

ნიჩბოსნობაში პირადი პირველი ადგილები მოიპოვეს ვ. კუშაკევიჩმა (VII სკოლა) და ა. ილინამ (IV სკოლა). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს VII სკოლის სპორტსმენებმა.

ველოსიპედისტები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 10 და 25 კილომეტრზე, ვაჟთა შორის 25-კილომეტრიანი დისტანცია პირველმა დაამთავრა ლ. შენგელიამ (II სკოლა) — 41.26,0. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს II სკოლის ველოსიპედისტებმა.

შეჯიბრება გაგრძელდება მაისის ბოლომდე.

დ. ანთია

საწყლოსნო სადგური რუსთავში

რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი, მეტალურგთა ქალაქის შრომელთა ერთ-ერთ შესანიშნავ და საყვარელ ადგილს წარმოადგენს. დიდი გამოცოცხლება იყო აქ კვირას, 19 მაისს. ამ დღეს გაიხსნა კეთილმოწყობილი საწყლოსნო ბაზა.

ხალხმრავალი მიტინგი გახსნა შრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქოს საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ვიშნიაკოვმა. სიტყვით გამოვიდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. წვერავა. სპორტსმენებს ახალი სპორტული ბაზის გახსნა მიულოცეს სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ნ. გომელაურმა, ზეინკალმა ვ. ტეფნაძემ, მოსწავლე ი. ცქიფურიშვილმა და სხვებმა.

მეტალურგთა ქალაქის ფიზკულტურელთა ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა სპორტსმენებმა, რომელთაც თავიანთი ოსტატობა აჩვენეს საწყლოსნო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ორადგილიანი ბაიდარებით. ქალთა შორის სტარტიდანვე დაწინაურდნენ თბილისელი ნიჩბოსნები, მაგრამ ფინიშთან მათ გაუსწრეს და პირველი ადგილი დაიკავეს მცხეთელებმა ლ. ბარისაშვილმა და ს. ზერიკაშვილმა.

ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ვაჟთა შორის პირველობა დაისაკუთრეს ო. მარიხაშვილმა და ნ. გიგაურმა (ორივე მცხეთა). ამავე მანძილზე მეორე გაცურვაში პირველები კვლავ მცხეთის წარმომადგენლები — მ. ბუზიაშვილი და კ. ნასყიდაშვილი იყვნენ.

შემდეგ სტარტი მიეცა ერთადგილიან კანოეს 500 მეტრზე ვაჟთათვის. საწყლოსნო სპორტის ამ სახეობაში უძლიერესი იყო გ მამულოვი (მცხეთა), ხოლო ორადგილიან კანოეში პირველი ადგილი დაიკავეს ა. ბერაძემ და ს. ხამხაძემ (მცხეთა). ნიჩბოსნობაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტარტი მიეცა ქალთა და ვაჟთა მასობრივ გაცურვას 500 მეტრზე.

მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა შეხვედრამ წყალბურთში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა შორის. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით — 8:1.

რუსთავის ფიზკულტურელთა ზეიმი მასობრივი სეირნობით დამთავრდა.

შ. ქირია

მცირეკალიბრიან შაშხანიდან

დამთავრდა „კრასნოე ზნამიას" თბილისის პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასზე მეტმა სპორტსმენმა.

პარად ჩათვლაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის წარმომადგენელი ვ. ბენდინი, რომელმაც 100-დან 94 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგით მეორე ადგილზე გამოვიდა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის წარმომადგენელი ვ. მაჭავარიანი. 93 ქულით მესამე ადგილი მოიპოვა რ. კორჯიშვილმა (სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი). ქალთა შორის ს. სესიაშმა (აბრეშუმის ფაბრიკა) მოაგროვა 94 ქულა და მოიპოვა უძლიერესის სახელი.

გუნდურ ჩათვლაში ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა და მაუდკამვოლის კომბინატის სპორტსმენებს. პირველი ადგილი მიეკუთვნა ტექნიკუმს.

უ. რუხაძე





სურათზე: მარცხნივ ზევით — პარკში ჩასასვლელი, წყალსატევის საერთო ხედი, პლაჟის პირველი სტუმრები.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდები მძლეოსნობაში

სახეობა	სსრკ		ევროპის		მსოფლიოს		ოლიმპიური	
			ვაჟები					
100 მ	ვ. სუხარევი	10,3	ჰ. ფიუტერერი (გერმანია)	10,2	უ. უილიამსი (აშშ)	10,1	ე. ტოლანი (აშშ)	1
					ა. მერჩისონი (აშშ)	10.1	დ. ოუენსი (აშშ)	1
					ლ. კინგი (აშშ)	10,1	ჰ. დილარდი (აშშ)	1
							რ. მოროუ (აშშ)	1
200 მ	ა. იგნატიევი	20,7	ჰ. ფიუტერერი (გერმანია)	20,6	დ. ზიმი (აშშ)	20,0	რ. მოროუ	2
400 მ	ა. იგნატიევი	46,0	რ. ხარბიგი (გერმანია)	46,0	ლ. ჯონსი (აშშ)	45,2	დ. როდენი (იამაიკა)	4
800 მ	გ. ივაკინი	1.48,4	რ. მოენსი (ბელგია)	1.45,7	რ. მოენსი (ბელგია)	1.45,7	ტ. კურტნეი (აშშ)	1.4
1500 მ	ი. პიპინე	3.44,6	ი. როჟოველდი (უნგრეთი)	3.40,6	ი. როჟოველდი (უნგრეთი)	3.40,6	რ. დელანეი (ირლანდია)	3.4
5000 მ	ვ. კუცი	13.39,6	გ. პირი (ინგლისი)	13.36,8	გ. პირი (ინგლისი)	13.36,8	ვ. კუცი (სსრკ)	13.3
10.000 მ	ვ. კუცი	28.30,4	ვ. კუცი (სსრკ)	28.30,4	ვ. კუცი (სსრკ)	28.30,4	ვ. კუცი (სსრკ)	28.4
110 მ თარჯ.	ე. ბულანჩიკი	14,1	მ. ლაუერი (გერმანია)	13,9	დ. დევისი (აშშ)	13,4	ლ. კელჰაუნი (აშშ)	1
400 მ თარჯ.	ი. ლიტუევი	50,4	ი. ლიტუევი (სსრკ)	50,4	გ. დევისი (აშშ)	49,5	გ. დევისი (აშშ)	5
							ე. სოუტერნი (აშშ)	5
3000 მ წინაღ.	ს. რჟიშჩინი	8.39,8	შ. როჟნეი (უნგრეთი)	8.35,6	შ. როჟნეი (უნგრეთი)	8.35,6	ქ. ბრეშერი (ინგლისი)	8.4
მარათონი	ი. ფილინი	2:20.05,2	არაა რეგისტრირებული		არაა რეგისტრირებული		ე. ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია)	2:23.0
4×100 მ	სსრკ ნაკრები	39,8	სსრკ ნაკრები	39,8	აშშ ნაკრები	39,5	აშშ ნაკრები	3
4×400 მ	„ „	3.09,4	გერმანიის ნაკრები	3.06,6	იამაიკის ნაკრები	3.03,9	იამაიკის ნაკრები	3.0
სიარული 20 კმ	პ. ლავროვი	1:27.58,2	პ. ლავროვი (სსრკ)	1:27.58,2	პ. ლავროვი (სსრკ)	1:27.58,2	ლ. სპირინი (სსრკ)	1:31.2
„ 50 კმ	გ. კლიმოვი	4:05.12,2	გ. კლიმოვი (სსრკ)	4:05.12,2	გ. კლიმოვი (სსრკ)	4:05.12,2	გ. დორდონი (იტალია)	4:28.0
სიგრძე	ო. ფედოსეევი	7,76	ჰ. ვისსერი (ჰოლანდია)	7,98	ჯ. ოუენსი (აშშ)	8,13	ჯ. ოუენსი	8
სიმაღლე	ი. კაშკაროვი	2,10	ბ. ნილსონი (შვეცია)	2,11	ჩ. დიუმასი	2,15	ჩ. დიუმასი (აშშ)	2
სამხტომი	ლ. შჩერბაკოვი	16,46	ლ. შჩერბაკოვი (სსრკ)	16,46	ა. ფ. და სილვა (ბრაზილია)	16,56	ა. ფ. და სილვა (ბრაზილია)	16
ჭოკი	ვ. დენისენკო	4,46	ე. ლანდსტრემი (ფინეთი)	4,50	ბ. გუტოვსკი (აშშ)	4,78	რ. რიჩარდსი (აშშ)	4
ბადრო	ო. გრიგალკა	55,50	ა. კონსოლინი (იტალია)	56,98	ფ. გორდიენი (აშშ)	59,28	ა. ორტერი (აშშ)	56
შუბი	ვ. ციბულენკო	79,89	ე. დანიელსენი (ნორვეგია)	85,71	ე. დანიელსენი (ნორვეგია)	85,71	ე. დანიელსენი (ნორვეგია)	85
ურო	მ. კრივონოსოვი	67,32	მ. კრივონოსოვი (სსრკ)	67,32	გ. კონოლი (აშშ)	68,54	გ. კონოლი (აშშ)	63
ბირთვი	ვ. ოვსეპიანი	17,67	ი. სკობლა (ჩეხოსლოვაკია)	17,76	პ. ო'ბრაიენი (აშშ)	19,10	პ. ო'ბრაიენი (აშშ)	18
ათჭიდი	ვ. კუზნეცოვი	7733	ვ. კუზნეცოვი (სსრკ)	7733	რ. ჯონსონი (აშშ)	7985	მ. კემპბელი (აშშ)	79
			ქალები					
100 მ	გ. პოპოვა	11,5	ღ. ლეონე (იტალია)	11,4	დ. მატესონი (კანადა)	11,2	მ. ჯექსონი (ავსტრალია)	1
200 მ	მ. იტკინა	23,4	მ. იტკინა (სსრკ)	23,4	ბ. კატბერტი (ავსტრალია)	23,2	ბ. კატბერტი (ავსტრალია)	2
80 მ თარჯ.	ნ. ვინოგრადოვა	10,7	ც. ჰასტლი (გერმანია)	10,6	ც. ჰასტლი (გერმანია)	10.6	შ. დე ლა ჰანტი (ავსტრალია)	10
4×100 მ	სსრკ ნაკრები	45,2	ინგლისის ნაკრები	44,7	ავსტრალიის ნაკრები	44,5	ავსტრალიის ნაკრები	4
სიგრძე	გ. ვინოგრადოვა	6,31	ე. კშესინსკა (პოლონეთი)	6,35	ე. კშესინსკა (პოლონეთი)	6,35	ე. კშესინსკა (პოლონეთი)	6
სიმაღლე	ა. ჩუდინა	1,73	ი. ბალაში (რუმინეთი)	1,75	მ. მაკდანიელი (აშშ)	1,76	მ. მაკდანიელი (აშშ)	1
ბადრო	ნ. დუმბაძე	57,04	ნ. დუმბაძე (სსრკ)	57,04	ნ. დუმბაძე (სსრკ)	57,04	ო. ფიკოტოვა (ჩეხოსლოვაკია)	53
შუბი	ნ. კონიაევა	55,48	ნ. კონიაევა (სსრკ)	55,48	ნ. კონიაევა (სსრკ)	55,48	ი. იაუნზემე (სსრკ)	[illegible]
ბირთვი	გ. ზიბინა	16,76	გ. ზიბინა (სსრკ)	16,76	გ. ზიბინა (სსრკ)	16,76	თ. ტიშკევიჩი (სსრკ)	16

ჰაავო ნურმი აქვეა

ოლიმპიური სტადიონი ჰელსინკში სამი ღირსშესანიშნაობითაა განთქმული: 73-მეტრიანი კოშკით, რომელიც შუბის მტყორცნელი მატი იარვინენის მსოფლიო რეკორდის ტოლია თავისი სიმაღლით, სპორტული მუზეუმითა და ჰაავო ნურმის სკულპტურით.

კოშკის ზემოდან, სადაც ჩვენ ავყავართ ლიფტს, ჩანს არა მარტო მთელი ქალაქი, არამედ ბალტიკის შორეული სივრცეებიც; მუზეუმში ჩვენს წინ იშლება ფინეთის სპორტული ისტორია, რომლითაც ამაყობს ჩრდილოეთის ამ პატარა ქვეყნის ხალხი, ხოლო ცნობილი სკულპტორის ვიაინე აალტონენის მიერ გაკეთებული სკულპტურა „დიდი ფინელისა“, როგორც უწოდებენ მორბენალ ნურმის, განცვიფრებას იწვევს თავისი გამომსახველობით. ნურმი თავისი განიერი, მოქნილი ნაბიჯით მიისწრაფის წინ და მისი აუღელვებელი, თავისებური სახე მკაფიოდ ისახება ცის ფონზე.

შეიძლება ითქვას, უკანასკნელ დრომდე მთელს მსოფლიოში არ იყო ასეთი პოპულარული სპორტსმენი, რომელსაც ჯერ კიდევ ცხოვრებაში აუგეს „ძეგლი ხელთუქმნელი“, სპორტსმენი, რომლის სარბენი ფეხსაცმელი მისმა თაყვანისმცემლებმა დამდნარ ოქროში გაბანეს (ამ ფეხსაცმლის ნახვა შეიძლება ჰელსინკის სპორტულ მუზეუმში). თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი არაა: ჰაავო ნურმი სამი ოლიმპიადის: ანტვერპენის, პარიზისა და ამსტერდამის გმირია.

მრავალი საინტერესო ფაქტითაა აღსავსე განთქმული მორბენლის ბიოგრაფია, მაგრამ ყველაზე ღირსსახსოვარი მათგან დაკავშირებულია 1924 წლის პარიზის ოლიმპიადასთან. ჰაავო ნურმიმ ეს თამაშები დაიწყო იმით, რომ ადვილად მოიგო რბენა 1.500 მეტრზე და იოლად ჩამოიტოვა უკან შვეიცარიელი შერერი და ინგლისელი სტალარდი. „სტალარდი მესამე მოვიდა მიზანთან ისე, როგორც მიდიან მარადიულობაში, უგრძნობლად... და გატანილ იქნა ფიცარით, როგორც გმირი თავის ფარზე. ოვაციები თან სდევდა მას ამ სამწუხარო მსვლელობაში კაბინისაკენ. იგი გონზე მოვიდა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ. ნურმი კი ცოტა ხანს შემდეგ უკვე შეუდგა თავის ახალ 5.000-მეტრიან გარბენს, რომელიც მან ოლიმპიური რეკორდით მოიგო. ასეთია ნურმი“.

ასეთია ნურმი 1924 წლის ოლიმპიური თამაშების ამსახველი წიგნის „ვილი მეისლიას“ აღწერაში. მაგრამ ამ წიგნში აღწერილი არაა კიდევ ერთი ეპიზოდი დაკავშირებული ჰაავო ნურმის დიდებასთან.

ფინელ მორბენალს განზრახული ჰქონდა აგრეთვე მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში ოქროს მედლისათვის 10 ათას მეტრზე რბენაში. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ მას არ დართო ამის უფლება. ოქროს მედალს ისინი დაპირებული იყვნენ სხვა სპორტსმენს — ვილი რიტოლას. და რიტოლამ გაიმარჯვა, მან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 30 წუთი 23,2 წამი. მაგრამ ნურმიმ, დაუქანცველმა ჰაავო ნურმიმ, გაირბინა ეს ძნელი მანძილი საწვრთნელი კოსტუმის გაუხდელად, აჩვენა 29 წუთი 50 წამი...

მხოლოდ 15 წლის შემდეგ შეძლო სხვა ფინელმა სტაიერმა ტ. მიაკიმ 30 წუთიდან გამოსვლა. მაგრამ მაინც ეს ოფიციალური რეკორდი დაბალი იყო ნურმის მიერ პარიზში ნაჩვენებ რეკორდზე.

ასეთი იყო ჰაავო ნურმი, ფინეთის სპორტული დიდების ალამდარი, რომელმაც პირველმა ფინელ მორბენალთაგან მოიპოვა მსოფლიო რეკორდი 10 ათას მეტრზე რბენაში, რის შემდეგ ეს რეკორდი 27 წლის მანძილზე მხოლოდ ამ პატარა ქვეყნის სტაიერთა საკუთრებას წარმოადგენდა.

ასეთი იყო ნურმი, რომელმაც პირველმა შეძლო გაეუმჯობესებინა აგრეთვე მსოფლიო რეკორდი 5 ათას მეტრზე მას შემდეგ, რაც იგი 10 წლის მანძილზე უცვლელად ეკუთვნოდა მის უფროს ამხანაგს კოლეჰმაინენს. მან გააუმჯობესა კოლეჰმაინენის დრო და შემდეგ 20 წლის განმავლობაში მას ფლობდნენ ფინელი მორბენლები, ჰაავო ნურმის მოწაფეები და მემკვიდრენი.

მაგრამ რატომ უნდა დავკმაყოფილდეთ ნურმისთან ურთიერთობით მხოლოდ მუზეუმში თუ თქვენ იმყოფებით ქალაქში, სადაც ეს ადამიანი ახლაც ცხოვრობს? ამ უბრალო აზრმა გვაიძულა გადაგვეფურცლა ტელეფონის წიგნი და 15 ჰაავო ნურმს შორის მოგვეძებნა მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

და აი, ჩვენ ვუცდით მას სასტუმროს ვესტიბულში, სადაც დაგვინიშნა შეხვედრა. მეტად გვაინტერესებდა როგორ გამოიყურებოდა სპორტსმენი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა გრძელ დისტანციებზე რბენაში?

უკანასკნელად ნურმი იხილეს სტადიონზე XV ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს, როცა იგი ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში გამოჩნდა სტადიონის სარბენ ბილიკზე. ცნობილია, რომ ნურმი არაა სპორტსმენებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრების მოტრფიალე. მას შემდეგაც კი, როცა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისისა და უნგრეთის უძლიერეს სტაიერებს შორის გამართული ბრძოლის შედეგად საბოლოოდ მოელო ბოლო ფინელ სპორტსმენთა რეკორდებს, ნურმის არც ერთხელ არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება ამ ამბების თაობაზე, რომლებსაც არ შეიძლება მისი ინტერესი არ გამოეწვია. იგი დარჩა ჩუმ, აუღელვებელ მაყურებლად მაშინაც, როცა ვლადიმერ კუცის წარმატება XVI ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში გაუტოლდა მისი, ნურმის ტრიუმფს VIII ოლიმპიურ თამაშებზე.

...იგი ჩვენს წინაშეა, მომცრო ტანის კაცი შავ პალტოში და შავი ქუდით. როგორ არა ჰგავს იგი შიშველ, მსუბუქად მრბოლ ატლეტს, ოლიმპიური სტადიონის წინ, რომელიც წინ მიილტვის თავისი კვარცხლბეკიდან? და მაინც არის რაღაც საერთო ამ სამოცი წლის კაცსა და აალტონენის სკულპტურის მორბენალს შორის. დიახ, ეს ნურმია? ჩვენ ვსხედვართ მასთან ერთად და ვსაუბრობთ წარსულ, დღევანდელ და მომავალ ამბავთა ირგვლივ.

ნურმი მოგვითხრობს, რომ სარბენ ბილიკს იგი დასცილდა მას შემდეგ, როცა ვერ შეძლო გამგზავრება ოლიმპიურ თამაშებზე ლოს-ანჟელოსში. მას სურდა მონაწილეობა მიეღო მარათონულ რბენაში, გულმოდგინედ ემზადებოდა მისთვის, მაგრამ დისკვალიფიცირებულ იქნა, როგორც პროფესიონალი. მას შემდეგ ჰაავო ნურმი არ გამოსულა სტარტზე, მაგრამ დღევანდელ დღემდე წარმოადგენს ქალაქ ტურკუს სპორტული საზოგადოების წევრს, რომლის სახელითაც მან დაიწყო გამოსვლა 1919 წელს.

— იცნობთ თუ არა თქვენს მემკვიდრეებს სხვა ქვეყნებიდან: ზატოპეკს, კუცს, პირის? — იყო ჩვენი პირველი კითხვა.

— არა, არ მქონია მათთან საუბრის შემთხვევა, თუმცა ყველა ისინი გამოდიოდნენ ფინეთის სტადიონებზე, — ამბობს ნურმი. — მაგრამ როგორც მაყურებელი მე მათ, რასაკვირველია, ვიცნობ. ასე ჩვენს დროს არავის ურბენია. მე ადვილად ვიმარჯვებდი იმიტომ, რომ არ მყავდა ტოლფასიანი მეტოქეები, ახლანდელ სტაიერებს კი ერთმანეთთან გამძაფრებული ბრძოლის ატანა უხდებათ.

— თქვენის აზრით რაში მდგომარეობს ძირითადი ცვლილებები, რომლებიც მოხდა გრძელ მანძილებზე რბენაში?

— იმისათვის, რომ პასუხი იქნას გაცემული ამ შეკითხვაზე საკმარისია თუნდაც ერთხელ ნახოთ ვლადიმერ კუცი სარბენ ბილიკზე. მაშინვე ნათელი ხდება თუ რამდენ დროსა და ძალას ხარჯავს იგი წვრთნაზე. აი რატომ განირჩევა მისი სტილი განსაკუთრებული სიმსუბუქით და სილამაზით. იგი როგორღაც მაგონებს ფინეთის ერთ-ერთი საუკეთესო სტაიერისა და ჩემი მთავარი მეტოქის ვილი ვიტოლას რბენას. მანაც სწორედ პირველივე მეტრებიდან იცის რბენა თავისი გრაფიკის მიხედვით და მასაც ამ ბოლო ხანებამდე ისევე, როგორც ვიტოლას არ ჰყოფნიდა ძალა უკანასკნელი მე რებისათვის ფინიშზე. ვიტოლა ჩ ულებრივ ფინიშზე აგებდა ჩემთ მაგრამ ახლა კუცმა ბევრს მიაღ და მელბურნში პირიზე მისი გამ ჯვების შემდეგ 5.000 მეტრზე რბ ნაში მე ამას უკვე ველარ ვიტყვი

— ეთანხმებით თუ არა მათ, ვ საც მიაჩნია, რომ ახლა რბენა ათას მეტრზე უფრო ახლო გრძელ დისტანციებთან, ვიდრე შუალოსთან?

— დიახ, სავსებით ვეთანხმები. შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ თ ნამედროვე სტაიერს ესაჭიროება ცილებით მეტი სისწრაფე, ვიდ ჩვენ. მე ბოლო ხანებში დავინტე სდი ერთ მილზე რბენით... რასაკ რველია, როგორც მაყურებელი, დაუმატა ნურიმ ღიმილით. — შესანიშნავი რბენაა და მოითხ დიდ სიზუსტესა და მაღალ ოსტ ტობას. ამ მანძილით უნდა დაინტ რესდნენ ახლანდელი მორბენლე 5 ათას მეტრზე. თუმცა რბენის ს ჩქარე მეტად სწრაფად იზრდ 10.000-მეტრიან დისტანციაზეც. რ არ უნდა მაღალი იყოს კუცის მი დამყარებული მსოფლიო რეკორ ვფიქრობ რომ იგი დიდ ხანს ვ შერჩება ცხრილს. დიახ, მე რომ ვ ყო ორმოცი წლით ახალგაზრდა, ამოოხვრით უმატებს ნურმი. — მ ცოდინებოდა რაც უნდა გამეკეთებ ნა და ეს კარგად იცის ვლადიმ კუცმა. მე მიმაჩნია, რომ იმ დღე როცა იგი შეუდგება მარათონუ რბენას (ეს ხომ გარდუვალია ყოვე სტაიერისათვის), აქაც აჩვენებს შ დეგებს, რომლებზეც ახლა ოცნებ კი არ შეიძლება.

ჩვენი საუბარი დასასრულს უ ლოვდება. ჰაავო ნურმი სულ უფ ხშირად იცქირება საათზე — მ საქმეები ელის. და ჩვენ მხოლ ერთიღა გვრჩება — მადლობა გად ვუხადოთ განთქმულ მორბენალ ემილ ზატოპეკისა და ვლადიმ კუცის წინამორბედს.

ვ. ვიქტოროვი

„ოგონიოკი“.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 02231